საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030114174878417

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/45231 **11 / ივლისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (2017 წლის 9 თებერვლის N№ს-671-664(2კ-16)) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა თენგიზ ადამიას სასარგებლოდ სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-35 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (2017 წლის 6 ივნისის N3/1341-2016) სააღსრულებო ფურცელის თანახმად, სიმონ პაპიძის სასარგებლოდ დაეკისრა საარსებო შემწობის, 420 ლარის და აღსრულების საფასურის 50 ლარის ანაზღაურება, სულ 470 ლარი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-35 02 02) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე